# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №10.30/10/082

ქ. თბილისი 15 ივლისი 2015 წელი

ერთის მხრივ **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობა** (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი **გამგებლის ზურაბ ჩიკვილაძის** სახით და მეორეს მხრივ, **შ.პ.ს. „სმარტ რუსთაველი" (**შემდგომში **„მიმწოდებელი"**), წარმოდგენილი მისი დირექტორის **სამსონ ფხაკაძის** სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ქ" ქვეპუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი"-ს მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **გამაგრილებელი და მინერალური წყლების მიწოდება** (წარმომადგენლობითი ხარჯებიდან) წინამდებარე ხელშეკრულებით და თანდართული ფასების ცხრილით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

## 2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია: სხვადასხვა საკვები და მშრალი პროდუქტებისა და ერთჯერადი საქონლის **CPVკოდი 15980000/1598000- უალკოჰოლო სასმელები, მინერალური წყლები,** შესყიდვის ობიექტის აღწერილობა, რაოდენობა ერთეულის და საერთო ფასი განისაზღვრება №1 დანართის შესაბამისად, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: **120** (ასოცი) **ლარი დ.ღ.გ.-ს** ჩათვლით.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

## 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი იქნება მაღალი ხარისხის, უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან, ეტაპობრივად, არაუგვიანეს **2015 წლის 30 დეკემბრისა.**

5.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია - ქ. თბილისი, ზ. ჭავჭავაძის გამზ. N74 ბ,

5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას შემსყიდველი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

5.4 საქონლის მიწოდების ვადების, რაოდენობის და ერთეულსი ფასის შეთანხმება ხდება ყოველი კონკრეტული პარტიისათვის.

5.5 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველის და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, რომლებიც აგრეთვე უზრუნველყოფენ მიმწოდებლის სავაჭრო ქსელიდან პროდუქტების მიღებას.

6.2 შემსყიდველის მხრიდან 6.1 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენს

**ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის აპარატის უფროსი: ანა გამყრელიძე პ/ნ 01003009777**

**ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის შტატგარეშე მოსამსახურე ლევან ელისაშვილი პ/ნ 01030032685**

## 7. ანგარიშსწორების პირობები

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

7.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის სათანადო წესით გაფორმებიდან 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

7.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება

## 8 მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულ პირობებთან მიღება–ჩაბარების გაფორმებამდე.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

ბ) ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ გაუთვალისწინებელ ხელისშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

## 9 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 მიმწოდებლის და შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეებს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0,5 პროცენტის ოდენობით.

## 10 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

## 11 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.2 სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

## 12 დაუძლეველი ძალა

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები,თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუწოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 13 ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შესყიდვის ობიექტის სრულად მიწოდების შემდეგ (ან მიწოდების პარალელურად) შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ინსპექტირება და წარმოადგინოს ინსპექტირების აქტი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე.

13.2 ინსპექტირების აქტში მითითებული უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა, განზომილება და აღმოჩენილი ნაკლი (იმ შემთხვევაში თუ ნაკლი ვიზუალურად თვალსაჩინოა).

13.3 ვიზუალური დათვალიერების დროს, თვალსაჩინო ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს აღმოჩენილი ნაკლის შესახებ და მოსთხოვოს არაუმეტეს 5(ხუთი) კალენდარულ დღეში საკუთარი ხარჯებით მისი შეცვლა.

13.4 ინსპექტირების აქტის საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში ჩატარდება მიწოდებული საქონლის მომსახურების ექსპერტიზა.

13.5 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ხელშეკრულების 6.2 პუნქტში მითითებული პირი.

13.6 გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან (ექსპერტიზის დანიშვნასთან) დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი

წესით.

## 14 ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

ა) მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

14.2 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 15 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 16 სხვა პირობები

16.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიღებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 17 მხარეთა რეკვიზიტები

**შემსყიდველი**

**ჩუღურეთის რაიონის გამგეობა**

მის: ქ.თბილისი,დავით აღმაშენებლის გამზ. №65

საიდენტიფიკაციო კოდი: 202467320

ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა

კოდი TRESGE22

ა/ა # GE24NB0330100200165022

**მიმწოდებელი**

**შ.პ.ს. „სმარტ რუსთაველი"**

იურიდ. მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის #74ბ

ბანკი: სს „საქართველოს ბანკი";

ბანკის კოდი **BAGAGE22**

ა/ა : GE04BG0000000523999200

საიდენტიფიკაციო კოდი: 404899936

**ტელ: 577 20 03 10**

**გამგებელი** ---------- **ზურაბ ჩიკვილაძე**

**დირექტორი** ---------- **სამსონ ფხაკაძე**

# ფასების ცხრილი

| № | CPV | დასახელება | საქონლის აღწერილობა, დახასიათება | განზომილება | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 15981100 | სასმელი წყალი სნო | • 0,5 ლ, პოლიეთილენის ბოთლში | ცალი | 100 |
| 2 | 15981200 | მინერალური წყალი-ნაბეღლავი | • 0,5 ლ, პოლიეთილენის ბოთლში | ცალი | 100 |

**შემსყიდველი:**
**ჩუღურეთის რაიონის გამგებელი**

---

**ზურაბ ჩიკვილაძე**

**მიმწოდებელი:**
**შ.პ.ს.. „სმარტ რუსთაველი"-ს დირექტორი**

---

**სამსონ ფხაკაძე**

# ხელწერილი
# ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების შესახებ.

ქ.თბილისი 15 ივლისი 2015 წელი

ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩოღურეთის რაიონის გამგეობის მიერ 2015 წლის "15" ივლისს გაფორმებულ №10.30/10/082 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ - ჩოღურეთის რაიონის გამგეობის წარმომადგენელი ხარჯიდან გამაგრილებელი და მინერალური წყლების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

რაიონის გამგებელი ზ. ჩიკვილაძე

გამგეობის აპარატის უფროსი ა. გამყრელიძე